შპს სკოლა "ჰორიზონტი"
სადაც ცოდნა ღრმავდება - პერსპექტივა ფართოვდება

შპს სკოლა
ჰორიზონტი

ხარისხის
უზრუნველყოფის
პოლიტიკა

დაგეგმვა - შეფასება - განვითარება

სარჩევი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფა

მუხლი 3. შიდა და გარე შეფასება

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი.

მუხლი 5. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა

მუხლი 6. ადამიანური რესურსის შეფასება

მუხლი 7. სკოლის ადამიანური რესურსების გაუმჯობესება

მუხლი 8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება

მუხლი 9. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება

მუხლი 10. განვითარება

მუხლი 11. ცვლილების შეტანის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე მექანიზმი არეგულირებს შპს სკოლა ჰორიზონტის სწავლა / სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.
2. წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფა

1. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასა და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას.
2. ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა.
3. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.

მუხლი 3. შიდა და გარე შეფასება

სკოლაში დანერგილია ორი სახის შეფასება:

1. შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე- განახორციელე - შეამოწმე - განავითარე.

დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.

განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით.

შეამოწმე - გულისხმობს განხორციელებული შემოწმების შედეგების ანალიზს.

განავითარე - გულისხმობს სკოლის ადმინისტრაციის მიერ ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

2. გარე ხარისხის კონტროლის სისტემა: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციის გავლა.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი.

1. არსებული სასწავლო პროგრამების / სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, მისი გაუმჯობესების მიზნით, ეფუძნება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, /კათედრების / დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის

2. სასწავლო პროგრამების შეფასებისას შემოწმდება:

სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა;

მოსწავლეთა მიღწევების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების კანონმდებლობასთან შესაბამისობა;

რამდენად უზრუნველყოფს სწავლების ფორმატი და მეთოდები დასახული მიზნების მიღწევას;

როგორ არის საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სწავლების პროცესი და რა მატერიალურ-ტექნიკური თუ ადამიანური რესურსით არის

უზრუნველყოფილი იგი;

რამდენად რაციონალურადაა შედგენილი საგაკვეთილო ცხრილი;

ადეკვატურად არის თუ არა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი;

თანხვედრაშია თუ არა სწავლის მიზნები, სასწავლო პროგრამის შინაარსი და მისაღწევი შედეგები;

შესაბამისობაშია თუ არა სასწავლო პროგრამის შინაარსი და მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა;

როგორ ხდება და რამდენად გამჭვირვალეა მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და სხვ.

მუხლი 5. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა

1. სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ხდება მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა;
2. სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, სკოლის მისიის შესაბამისად, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს რომელსაც განსახილველად წარუდგენენ პედაგოგიურ საბჭოს.
4. დირექტორის მოადგილე გასული სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლის დირექტორთან ერთად შეიმუშავებენ გაკვეთილების და შესვენებების ხანგრძლივობას კლასების მიხედვით, მათი შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით, რომელსაც განსახილველად წარუდგენენ დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს.

დირექტორი და დირექტორის მოადგილე შეიმუშავებენ სასკოლო საათობრივ ბადის პროექტს. ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე მოდელის მიხედვით..

კათედრების ხელმძღვანელები, განსაზღვრავენ საგანმანათლებლო რესურსებს კლასების შესაბამისად. მათ შორის, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს და დამხმარე ლიტერატურას.

საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრული ისგ ჯგუფი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის და წარუდგენს მას პედაგოგიურ საბჭოს

განსახილველად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ახლად იდენტიფიცირებული მოსწავლის

შემთხვევაში ხდება იდენტიფიცირებიდან 1 თვის ვადაში. უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლის შემთხვევაში სწავლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში.

8.სკოლა, მოსწავლეების ინტერესების და სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად, შეიმუშავებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალს და შესაბამისი მომსახურების პროგრამებს, რომლებიც შეთავაზებული იქნება მოსწავლეებისთვის. აღნიშნული მოსწავლეებისთვის შესაძლებელია შეთავაზებული იქნას როგორც დამატებითი სავალდებულო საგნის, ისე ფაკულტატური (წრეები

ს) სახით.

9. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლა შეიმუშავებს მოსწავლეთა აკადემიური შეფასების პრინციპებს, შეფასების რუბრიკებს და ა.შ მოსწავლეთა არსებული შედეგების გაუმჯობესებისა და მათი აკადემიური მიღწევის აღიარების მექანიზმებს. წლიური გამოცდების განრიგს და ა.შ

10. სკოლა შეიმუშავებს სადამრიგებლო მუშაობის დებულებას, რომლის საფუძველზეც თითოეული კლასის დამრიგებელი ქმნის დაზუსტებულ სადამრიგებლო პროგრამას.

მუხლი 6. ადამიანური რესურსის შეფასება

1. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

2. მასწავლებელთა შეფასებისას ხდება შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;

სწავლების მეთოდების შერჩევა;

შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;

საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;

საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

3.თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

მუხლი 7. სკოლის ადამიანური რესურსების გაუმჯობესება

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. რომლის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.

2. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

მუხლი 8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან.
2. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის. აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამების საჭიროებების შესაბამისად. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია და სხვ.) და ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება-განახლება, სასწავლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა), კომპიუტერული ტექნიკა (მათი არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ.).

მუხლი 9. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება

1. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და დასახული მიზნების მიღწევისათვის, სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის მუდმივ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, სკოლის თითოეული თანამშრომელი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს იმ მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალს, რაც საჭიროა სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

თითოეული კლასის დამრიგებელი, სემესტრის დასრულებამდე შეიმუშავებს იმ რესურსების ნუსხას, რაც საჭიროა შესაბამისი საკლასო ოთახის აღსაჭურვად;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგი

ა) და ისტ მასწავლებლები სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებენ იმ ხელსაწყოების და ტექნიკის ჩამონათვალს, რაც საჭიროა აღნიშნული ლაბორატორიების გამართულად მუშაობისათვის;

ბიბლიოთეკარი, სკოლის მასწავლებლებთან ერთად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავებს იმ ლიტერატურის და პერიოდიკის ჩამონათვალს რაც სასწავლო პროცესში იქნება გამოყენებეული მომავალ სასწავლო წელს, გარდა ამისა შეიმუშავებს იმ აქტივობების გეგმას რისი განხორციელებაც იგეგმება მომდევნო წელს;

სპორტის მასწავლებლები შეიმუშავებენ იმ ინვენტარის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა სპორტული დარბაზის და მოედნის აღსაჭურვად და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად;

მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენლები, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავებენ საჭირო ინვენტარის ჩამონათვალს.

გარდა ამისა სკოლის მასწავლებლები და დირექცია, ყოველი წლის ბოლოს, შეიმუშავებენ იმ აქტივობების ჩამონათვალს რომელთა განხორციელებაც იგეგმება მომდევნო წლის განმავლობაში;

პედაგოგიური საბჭო განსაზღვრავს იმ რესურსების ნუსხას, რომელიც საჭიროა მასწავლებელთათვის სამუშაო გარემოს შესაქმნელად;

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სკოლის სამზარეულო სკოლის ეზოსა და საპირფარეშოების კეთილმოწყობას, რომელიც ასევე მორგებული იქნება სსსმ პირებზე. დამლაგებლები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, განსაზღვრავენ იმ რესურსების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ტერიტორიების სისუფთავესა და მოწესრიგებულობას;

სკოლის ექიმი მუდმივად ამოწმებს მედიკამენტების ვარგისიანობას და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს იმ მედიკამენტების ნუსხას, რომელთა არსებობაც აუცილებელია სამედიცინო ოთახში გარდა ამისა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, განსაზღვრავს იმ

ინვენტარის და ხელსაწყოების ნუსხას, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის გამართულ ფუნქციონირებას;

სკოლის დირექცია, თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და სკოლის საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავებს იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ჩამონათვალს, რაც საჭიროა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის

მუხლი 10. განვითარება

1. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა თუ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის / სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

2. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება. ამ მიზნით, მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და კონფიდენციალური გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე სკოლა:

შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მათ მათ შორის წიგნადი ფონდის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვ.) განახლება-სრულყოფის რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის საქმიანობაში შესატანი ცვლილებების შესახებ;

აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს განსახორციელებელი

ღონისძიებების გეგმას და მონიტორინგს უწევს მათ შესრულებას.

მუხლი 11. ცვლილების შეტანის წესი

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შეიმუშავებს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.